Environmental Art

აქტივობების გზამკვლევი

მოამზადა თათია ბარბაქაძემ
დიზაინი: ხათუნა ციხელაშვილი

Art for Climate Action

განათლების E სახლი

რესურსის მიზანი:

Environmental Art-ის შესახებ აქტივობების განხორციელებით მოსწავლემ უნდა გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განავითაროს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზების ძიებისა და გამოყენების უნარი.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში ნამუშევრის შექმნამდე მასწავლებელმა თეორიული მასალა უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ვიზუალურ ხელოვნებაში კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ნიმუშების შესახებ. ამის შემდეგ წარმოდგენილი აქტივობებიდან, სურვილისამებრ, მოსწავლე/ მასწავლებელს შეუძლიათ ამოირჩიონ დავალება.

დავალება N1- პოსტერის შექმნა:

მოსწავლეები კლიმატის ცვლილებებთან, მისგან გამოწვეულ პრობლემებთან ან მოგვარების გზებთან დაკავშირებით პოსტერს ქმნიან.

პოსტერის შესაქმნელად საჭირო რესურსი:

A3 ფორმატის (საშუალო სისქის) ქაღალდი, ფანქარი, ფლომასტერი, ფერადი კალმები, პასტელი, ფუნჯი, გუაში, აკვარელი.

პოსტერის შექმნისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია:

- გამოსახულების შესაქმნელად სასურველია მოსწავლეებმა გამოიყენონ კონტრასტული ფერები;
- ვიზუალთან ერთად მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ სლოგანი, რომელიც დაკავშირებული იქნება გამოსახულებასთან. ტექსტი უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მკაფიო და მაქსიმალურად ხაზს უსვამდეს პრობლემის მნიშვნელობას ან მოგვარების გზებს.

პოსტერის შექმნის გზები:

- თავდაპირველად, მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ კონცეფცია, თუ როგორი უნდა იყოს პოსტერი;
- მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ რა მასალაში აპირებენ მუშაობას;
- მოსწავლეებმა წინასწარ უნდა მოიფიქრონ ტექსტი/ სლოგანი;
- მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ სლოგანის/ტექსტის შრიფტი;
- პოსტერის საბოლოო ვარიანტამდე, სასურველია, მოსწავლეებმაშექმნან ესკიზი.

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა ე.წ. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უკუკავშირი უნდა მისცეს.

დავალება N 2- პერფორმანსი:

მოსწავლეებმა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მოიფიქრონ და განახორციელონ პერფორმანსი.

პერფორმანსის შექმნისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია:

- პერფორმანსი არ უნდა იყოს დროში გახანგრძლივებული. დროის მაქსიმალური ლიმიტი 2–3 წთ.
- პერფორმანსის მიზანი მაყურებლისთვის უნდა იყოს გასაგები და დასამახსოვრებელი.

განხორციელების გზები:

- თავდაპირველად, მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ კონცეფცია, თუ როგორი უნდა იყოს პერფორმანსი;
- მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პერფორმანსში სურვილისამებრ შესაძლებელია ხმოვანი რიგის (აუდიო/ცოცხალი შესრულება) გამოყენება;
- მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით გადაინაწილონ როლები/აქტივობა;
- მოსწავლეებმა მაყურებლის წინაშე/საჯარო სივრცეში/ წარადგინონ პერფორმანსი და გააკეთონ ვიდეო ჩანაწერი.

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა ე.წ. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უკუკავშირი უნდა მისცეს.

დავალება N 3- ინსტალაციის შექმნა:

მოსწავლეებმა კლიმატის ცვლილებებთან, მისგან გამოწვეულ პრობლემებთან ან მოგვარების გზებთან დაკავშირებით უნდა შექმნან ინსტალაცია.

საჭირო რესურსები:

ნებისმიერინივთი/ნივთები, რასაც მოსწავლეები საჭიროდ მიიჩნევენ.

ინსტალაციისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია:

ინსტალაცია შესაძლოა, სინათლის ეფექტებით, ყოველდღიური მოხმარებისთვის განკუთვნილი საგნებით იყოს გაკეთებული ან სპეციალურად ამ პროექტისთვის შეიქმნას კონკრეტული პროდუქტი. ინსტალაციის მიზანია პასუხობდეს კლიმატის ცვლილებასთან, პრობლემებთან თუ მოგვარების გზებთან დაკავშირებულ საკითხებს.

განხორციელების გზები:

- თავდაპირველად, მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ კონცეფცია, თუ როგორი უნდა იყოს და რისგან (რა მასალებისგან) უნდა შედგებოდეს ინსტალაცია;
- მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ინსტალაცია სურვილისამებრ შეუძლიათ ხმოვანი რიგით (აუდიო/ ცოცხალი შესრულება) გააფორმონ;
- მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით გადაინაწილონ ფუნქციები;
- მოსწავლეებმა მაყურებლის წინაშე/საჯარო სივრცეში/ წარადგინონ ინსტალაცია და გააკეთონ ფოტო/ვიდეო დოკუმენტაცია.

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა ე.წ. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უკუკავშირი უნდა მისცეს.